ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 240

ქალაქი ქუთაისი 25 ოქტომბერი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის „ზ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის №160 განკარგულების საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დადებითად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ წიმადებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენელი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენელი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
საქართველო
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
26 10 2023 №-81

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 25 ოქტომბრის №240 განკარგულების
დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (შემდგომ, სამსახური) მისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა 2022 წლის ივნისიდან. იგი საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. უზრუნველყოფს ქალაქის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს განვითარების ხელშეწყობას. ამ მიზნით, სამსახურში ჩამოყალიბებულია განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებები.

კულტურის სფეროს მიკუთვნებული საკითხების მართვას, კოორდინაციას და მათი განხორციელების კონტროლს უზრუნველყოფს სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის განყოფილება, რომელიც საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, საერთაშორისო კულტურულ აქტივობების, კონკურსების, გამოფენებისა და ფორუმების მოწყობას. ასევე, უზრუნველყოფდა სხვადასხვა ლიტერატურული ნაშრომების გამოცემასა და ქუთაისში მცხოვრები ნიჭიერი შემოქმედების მხარდაჭერას.

ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზით, კულტურის განყოფილება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქალაქში ლიტერატურის სფეროს განვითარებას, ინოვაციების მხარდაჭერას, ლიტერატურული ღონისძიებების ჩატარებას, ლიტერატურული ნაშრომების, წიგნების, ჟურნალების, ალმანახების გამოცემას, ახდენს ქალაქში მყოფი ახალგაზრდა მწერლების ხელშეწყობასა და საზოგადოებისთვის გაცნობას, თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების პოპულარიზაციას. ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაფინანსდა ჟურნალი „მწვანეყვავილა“ (8 ნომერი), გაზეთი „უქიმერიონი“ (14 ნომერი) და ჟურნალი „განთიადი“ (16 ნომერი). გამოიცა მწერალ რეზო ჭეიშვილის გადანახული ჩანაწერების მე-7 ტომი, ემზარ კვიტაიშვილის დოკუმენტური რომანი „რეზო ჭეიშვილის გვერდით“.

საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ქუთაისელი მწერლებისა და პოეტების ნაშრომების გამოცემის ფარგლებში დაიბეჭდა ცირა შალაშვილისა და თეიმურაზ ლანჩავას ერთტომეულები, ასევე, ელისო ქაროსანიძის ლექსების კრებული. დაფინანსდა რეზო გაბრიაძის წიგნის „ჩემი პატარა ქალაქი“ გამოცემა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. ქუთაისელი მწერლების, მხატვრებისა და თეატრალური მოღვაწეების საიუბილეო პროგრამის ფარგლებში ჯილდოს სახით გაიცა თანხა 11 მხატვარზე, 2 მწერალსა და 29 თეატრალურ მოღვაწეზე. ქუთაისელი მხატვრების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მემორანდუმის საშუალებით დაფინანსდა 2 პლენერი და 9 გამოფენა (სეზონური თუ იუბილარი მხატვრების), გამოიცა ერთი კატალოგი.

ქუჩის მხატვრობის „სტრიტ არტის“ ფარგლებში 2023 წელს მოიხატა 4 ლოკაციაზე 6 კედელი, ხოლო გასულ წელს ჯილდოს სახით გაიცა თანხა ორი გამარჯვებული ესკიზის ავტორზე.

ქალაქ ქუთაისში ქართული ხალხური ფოლკლორული ტრადიციების აღორძინების, ქართული ხალხური ფოლკლორის პროპაგანდისა და განვითარების მიზნით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლი ბერმუხა“ დაფინანსდა ყოველთვიური ხელფასით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი“ დაფინანსდა ყოველთვიური ხელფასით მემორანდუმის საფუძველზე, რომლის მიზანია აღნიშნული ორკესტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ქუთაის–გაენათის ეპარქიას მემორანდუმის საშუალებით გაეწია ფინანსური მხარდაჭერა სხვადასხვა საჭიროებებისთვის.

თეატრალური კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების, თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ქუთაისის ლ.მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, მ.ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს, ქუთაისის ნიღბებისა და პანტომიმის თეატრს, ი.გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრს გამოეყო თანხა მემორანდუმის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტის ქუთაისის თეატრების ფუნქციონირების მხარდაჭერის ქვეპუნქტიდან. ჩატარდა „იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2022“ და „იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2023“. ორივე წელს, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, დაფინანსდა ფესტივალის სტუმართა სასტუმრო და კვებითი მომსახურების, ფასიანი საჩუქრებისა და ჟურნალის „თეატრალური ქუთაისი“ გამოცემის ხარჯები.

საერთაშორისო „ფოტოფესტივალი ილო 2022“ მოეწყო მემორანდუმის ფარგლებში. ფესტივალის მიზანია ნიჭიერი ფოტოხელოვანების აღმოჩენა, შემოქმედებითად გადამზადება-განვითარება და მათთვის მოტივაციის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 8 საკონცერტო ღონისძიება და 2 ფესტივალი, მათ შორის 1 საერთაშორისო.

„ქუთაისქალაქობა 2023–ის“ ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობები, კონცერტები, საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა, თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი „ქარავან არტ ფორუმი ქუთაისი 2023“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული მხატვრების, ფოტოხელოვანების, ხელოვნებათმცოდნეებისა და კურატორების მონაწილეობით (საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, პოლონეთი, ესტონეთი, ლიტვა, უკრაინა და საბერძნეთი).

საახალწლო – საშობაო ღონისძიებები 2023-ის ფარგლებში გაიცა 2600 საბავშვო ნობათი, გაიმართა სხვადასხვა გასართობ – შემეცნებითი აქტივობები, კონცერტები, საშობაო ბაზრობა, თეატრალური წარმოდგენები ბავშვებისთვის, ალილოს მსვლელობა. შეგროვდა შემოწირულობები, რომლებიც გადაეცა მზრუნველობამოკლებულ მოხუცებს, აღსაზრდელებსა და სხვადასხვა დაწესებულებების ბენეფიციარებს.

ჩატარდა მ.ბალანჩივაძის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა მე-3 საერთაშორისო მუსიკალური კონკურსი პიანისტებისათვის, მემორანდუმის ფარგლებში.

საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად დაფინანსდა ქუთაისელ მუსიკოს შემსრულებელთა ტრანსპორტირების ხარჯი (სულ 2 პირი).

საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში გამარჯვებული ქუთაისელი მოსწავლეები და მათი პედაგოგები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით (სულ 23 პირი).

გაიცა სტიპენდია ქუთაისში რეგისტირირებულ საქართველოს დამსახურებულ არტისტებსა და ქურუმებზე (სულ 10 პირი).

მოცემულ პერიოდში 11 სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა მოწვეულ სტუმართა სასტუმრო და კვებითი მომსახურება.

ვინაიდან, კულტურის განყოფილების მუშაობის მნიშვნელოვან მიმართულებას ქუთაისში მცხოვრები ნიჭიერი შემოქმედების ხელშეწყობა წარმოადგენს, „გაუთვალისწინებელი ღონისძიებები/კულტურული ინიციატივების“ ადგილობრივი ბიუჯეტის მუხლიდან საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ფოტოპროექტი „ბოდიფონტი“ დავით კაკაბაძის სახვითი ხელოვნების გალერეაში; 3 საკონცერტო ღონისძიება, სხვადასხვა კულტურული ინიციატივისთვის ფინანსური დახმარება გაეწია 17 პირს, გამოიცა 2 წიგნი, დაფინანსდა 1 მოკლემეტრაჟიანი და 1 დოკუმენტური ფილმის გადაღება ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში, 1 სანოტო კრებული, 1 სატელევიზიო პროექტი, გაიხსნა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვარსკვლავი, განხორციელდა თეატრალურ-მუსიკალური პროექტი „ქართული თეატრის ამბავი ანუ...“.

განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან; არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთან „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებასთან“; სხვადასხვა ადგილობრივ, საერთაშორისო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ სერიოზული მუშაობა ჩატარდა განათლების სფეროს განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით. განათლების ღონისძიებების პროგრამის ბიუჯეტი 2022 წელს განისაზღვრა 183 000 (ას ოთხმოცდასამიათასი) ლარით, რომლითაც მხარი დაეჭირა და განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქალაქო ღონისძიების ფარგლებში მიმდინარე წლის 1–ელ ივნისს, ქუთაისის სპორტის სასახლეში მოეწყო სპორტული შეჯიბრი ქუთაისის 12 ბაღის 120 აღსაზრდელის მონაწილეობით, ასევე, ქუთაისის ბ.გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში 2 დღის მანძილზე ბავშვებს უფასო ატრაქციონებით მოემსახურნენ.

„მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა“ პროგრამის ფაგლებში მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლის ასამდე მოსწავლემ. ოლიმპიადა მოეწყო შემდეგ ჟანრებში: ზეპირსიტყვიერება, ხალხური სიმღერა, ქართული ესტრადა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. გამარჯვებულებს გადაეცათ სპეციალური პრიზები და ფულადი ჯილდო.

მედია – პროექტში „ეტალონი“ მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, პროექტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში თანადაფინანსების პრინციპით. 2022 წლის პროექტის გამარჯვებული გახდა ლიკა ბურჯანაძე .

მერის სტიპენდიანტები პროექტის ფარგლებში 2022 წელს სტიპენდია გაიცა ქუთაისის სამი უნივერსიტეტის 12 სტუდენტზე.

საერთაშორისო კონფერენციებზე, კონკურსებზე, კონგრესებზე, ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე ქუთაისელი პროფესორ მასწავლებლების, სტუდენტთა და მოსწავლეთა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწია სამ პირს.

საზაფხულო ბანაკი მოეწყო საჯარო სკოლების VIII–IX–X კლასების სოციალურად დაუცველ და წარმატებულ მოსწავლეთათვის ორ ნაკადად შავიზღვისპირეთის კურორტზე, ბანაკის ფუნქციონირება დაიწყო 2022 წლის 5 სექტემბერს და დასრულდა 15 სექტემბერს, თითოეულ ნაკადში მონაწლეობდა 45 მოსწავლე და 5 პედაგოგი.

მოეწყო საზაფხულო შემეცნებითი ბანაკი „მცირე აკადემია“ საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ინფორმატიკის ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეებისათვის შავი ზღვისპირეთის კურორტზე. ბანაკში 2022 წლის 2 სექტემბრიდან 8 სექტემბრამდე გაემგზავრა 56 მოსწავლე და 7 პედაგოგი.

2022 წლის 16 სექტემბერს, ქალაქის ცენტრალურ ბულვარში გაიმართა ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი კონცერტი გუჯუფის „GOOFY LAND“ და მუსიკალური დიჯეის „DJ ZUKAY“ მონაწილეობით.

გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ფარგლებში ფინანსური დახმარება 2022 წელს მიიღო თერთმეტმა პირმა. აქედან, 3 სასწავლებლად გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთი პირი ბრიუსელის სამართლის სკოლაში, ერთი – უნგრეთში დებრეცენის უნივერსიტეტში, ორ პედაგოგს, რომლებმაც გაიმარჯვეს „e Twining-ის“ პროგრამაში, გადაეცა ფულადი ჯილდო, კინგზის ინტელექტის ოლიმპიადაში გამარჯვებულ ორ მოსწავლეს გადაეცა ფულადი ჯილდო, ასევე დაფინანსდა ქალაქ თბილისში სამეწარმეო ფესტივალზე ქუთაისის 33-ე სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების გამგზავრება და ინტელექტუალური კლუბის გამგზავრება ქალაქ ბათუმში.

გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მოზარდ – მაყურებელთა დამოუკიდებელ ახალგაზრდულ თეატრ მარჯანიშვილელებთან“, რაც გულისხმობს საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალის ჩატარებას თანადაფინანსების პრინციპით (სპექტაკლების ჩვენება და გამარჯვებულების დაჯილდოება ნომინაციების მიხედვით).

2022 წლის 5 ოქტომბერს დაჯილდოვდა ქალაქ ქუთაისის 38 საჯარო სკოლის 75 პედაგოგი, ხოლო 6 ღვაწლმოსილ პედაგოგს გადაეცა სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“.

2022 წლის ნოემბრის თვეში მოეწყო ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების დასკვნით ტურსა და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების დაჯილდოება.

2023 წლის განათლების ღონისძიებების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 253 000 (ორას ორმოცდა ცამეტი ათასი) ლარით.

2023 წლის იანვრიდან 2023 წლის აგვისტოს ჩათვლით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდია ერიცხება ქუთაისის სამი ავტორიზებული უნივერსიტეტის ექვს საუკეთესო სტუდენტს. სტიპენდიის ყოველთვიური ოდენობა განსაზღვრულია 1800 ლარით.

2023 წლის მარტის თვეში, ადგილობრივი ბიუჯეტის ქვეპუნქტიდან „ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტების საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებში მონაწილეობის დაფინანსება“ ისარგებლა თხუთმეტმა მოსწავლემ.

ქართული ენის დღის ფარგლებში ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოეწყო კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება, დაჯილდოვდა პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული სამი მოსწავლე და სამი პედაგოგი. ადგილზე გამოიფინა ბოდი ფონტისა და საქართველოს ხელნაწერთა ფონდში დაცული კალიგრაფიის საუკეთესო ნამუშევრები. მოეწყო ნუგეშა გაგნიძის საჯარო ლექცია თემაზე „გრიგოლ რობაქიძის ლირიკა“.

„საერთაშორისო კონფერენციებზე, კონკურსებზე, კონგრესებზე, ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე ქუთაისელი პროფესორ – მასწავლებლების, სტუდენტთა და მოსწავლეთა დაფინანსება“ პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწია 6 მოქალაქესა და სიდეს საერთაშორისო ფესტივალზე გასამგზავრებლად ქუთაისის №31 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თეატრალურ დასს.

2023 წლის 18 მაისს, მუზეუმის საერთაშორისო დღის ფარგლებში, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოეწყო ქალაქ ქუთაისის მუზეუმების წარმატებულ და ღვაწლმოსილი თანამშრომლების დაჯილდოების ღონისძიება. სულ დაჯილდოვდა ქუთაისში არსებული მუზეუმების 20 საუკეთესო თანამშრომელი.

2023 წლის მასის თვეში მოეწყო ინტელექტუალური კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა ქუთაისის 26 სკოლის გუნდი. ინტელექტუალური კონკურსი ჩატარდა როგორც ბრეინ-რინგის, ასევე ჯეოპარდის მიმართულებით.

მიმდინარე წლის 1, 2 და 3 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის ფარგლებში, ქუთაისის ბ.გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში უფასო ატრაქციონებით მოემსახურნენ ბავშვებს.

2023 წლის 23 ივნისს მოეწყო მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა ჟანრებში: ქართული ესტრადა, ხალხური სიმღერა, ზეპირსიტყვიერება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. ოლიმპიადაზე მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქუთაისის 25 საჯარო სკოლის ასამდე მოსწავლემ, გამარჯვებულებს გადაეცათ ოლიმპიადის სპეციალური პრიზები და ფულადი ჯილდო .

2023 წლის 1 აგვისტოდან 17 აგვისტომდე მოეწყო საზაფხულო ბანაკი დაბა ბაკურიანში საჯარო სკოლების VIII–IX–X კლასების წარმატებულ მოსწავლეთათვის. საგანმანათლებლო ბანაკში მონაწილეობა მიიღო 120-მა მოსწავლემ.

2023 წლის ივნისის თვეში მოეწყო მერვე საერთაშორისო კონფერენცია „ენა და კულტურა“ თანადაფინანსებით გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში.

2023 წლის 21 ივნისს „კინგსი საქართველოსა“ და „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ორგანიზებით, იმერეთის მასშტაბით მოეწყო ინტელექტის ოლიმპიადა მოსწავლეებს შორის. ოლიმპიადის გამარჯვებულ მოსწავლეებს ჩაერიცხათ ფულადი ჯილდო.

დაფინანსდა ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების ქალაქ თბილისში სამეწარმეო ფესტივალზე გამგზავრება.

დაფინანსდა რვა სტუდენტის გამგზავრება საზღვარგარეთ სასწავლებლად.

საანგარიშო პერიოდში არაერთი ღონისძიება განხორციელდა სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების მიერ, სპორტის სფეროში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის პროგრამული ბიუჯეტიდან 2022 წლის ივნისი – დეკემბრის მანძილზე განხორციელდა შემდეგი პროექტები და ღონისძიებები:

1. პროგრამული ბიუჯეტის რაგბის ხელშეწყობის მუხლიდან, რაგბის კლუბი „აიას“ ფუნქციონირებისათვის გადაირიცხა – 70 000 ლარი.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდია ერიცხება ქუთაისელ სპორტსმენს ირაკლი ცირეკიძეს – წლის განმავლობაში ყოველთვიურად, 1 500 ლარის ოდენობით, სულ გადარიცხულია ივნისიდან დეკემბრის თვის ჩათვლით 10 500 ლარი.

3. საქართველოს ჩემპიონის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული (პრიზიორი) სპორტსმენების, გამარჯვებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელთა ფულადი ჯილდოს გაცემის ფარგლებში მიმდინარე წელს ფულადი ჯილდო გაიცა 25 სპორტსმენზე, 28 700 ლარის ოდენობით.

4. მსოფლიო, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებული შედეგების გათვალისწინებით, წლის მანძილზე გამოვლენილი 35 წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენი იღებს ყოველთვიურ ჯილდოს, ყოველთვიურად 9 937,5 ლარის ოდენობით, მიმდინარე ეტაპზე გადარიცხულ იქნა 69 562,5 ლარი.

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიურ კომიტეტს“ გადაერიცხა 11 574 ლარი, რომლის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს – ოლიმპიური იდეალებისა და ფასეულობების გავრცელება და განმტკიცება და ასევე, ორგანიზება გაუკეთოს შეჯიბრებს, შეხვედრებსა და სხვა სახის ღონისძიებებს. აღნიშნული მიმართულებით ქალაქ ქუთაისში არაერთი სპორტული ღონისძიება მოეწყო.

6. ადგილობრივი ბიუჯეტის ქვეპუნქტიდან „სპორტსმენების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა“, საიუბილეო ღონისძიების აღნიშვნასთან დაკავშირებით ფულადი ჯილდო გადაეცა 5 დამსახურებულ სპორტსმენს, თანხა ჯამში შეადგენს 2 500 ლარს.

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში“ დასაქმებულ საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის მოღვაწის/მუშაკის წოდების მქონე პირთა ყოველთვიური ფულადი ჯილდო – იანვარში, მარტსა და აპრილში გაიცემა 81 პირზე; ხოლო მომდევნო თვეებში 80 პირზე – ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით, მიმდინარე პერიოდში სულ გადარიცხული იქნა 5 600 ლარი.

8. სპორტის რაინდის სტიპენდია ერიცხება რაინდის წოდების მქონე ერთ ქუთაისელ სპორტსმენს – თეიმურაზ აფხაზავას, ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით.

9. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამიდან მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე გასამგზავრებლად 2022 წლის ივნისი – დეკემბრის თვის მანძილზე ფინანსური დახმარება გაეწია 13 სპორტსმენს, ფინანსური დახმარების ოდენობამ ჯამში შეადგინა 27 300 ლარი.

10. ადგილობრივი ბიუჯეტის ქვეპროგრამიდან „ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტურნირებზე გასამგზავრებლად ფინანსური დახმარება“ 2022 წლის ივნისი – დეკემბრის თვეების მანძილზე დაფინანსდა 1 სპორტსმენი.

11. ადგილობრივი ბიუჯეტის გაუთვალისწინებელი ღონისძიებების მუხლიდან დაფინანსდა 8 სპორტული აქტივობა, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 32 800 ლარი.

12. მსოფლიო ჩემპიონის, აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა კრივში 2022 წლის 20–24 ივლისს, ღონისძიების ორგანიზების ფარგლებში გამოცხადდა ელ.ტენდერი, ტურნირი გაიმართა სპორტის სასახლეში, ტურნირი იყო საერთაშორისო ხასიათის და მასში მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთიდან მოწვეულმა გუნდებმა. ღირებულებამ შეადგინა 14 016 ლარი.

13. 2022 წლის 29 სექტემბერიდან 2 ოქტომრამდე ჩატარდა ღია პირველობა კალათბურთში – ტურნირის ორგანიზებაზე გამოცხადდა ელ. ტენდერი და მიმდინარეობდა სპორტის სასახლეში, მასში მონაწილეობა მიიღო თურქეთიდან მოწვეულმა გუნდმა, ტურნირის ღირებულებამ შეადგინა 4970 ლარი.

14. 2022 წლის 3-5 ივნისს, სპორტის სასაახლეში ჩატარდა გელა დარსაძის ტურნირი კალათბურთში, მასში მონაწილეობდა როგორც საქართველოს, ისე ტალინისა და ტრაბზონის საკალათბურთო გუნდები 2008–2009 წლებში დაბადებული სპორტსმენების შემადგენლობით. ტურნირის ღირებულებამ შეადგიანა 12 000 ლარი.

15. 2022 წლის 12 ივნისს, ქალაქ ქუთაისში, გზაგამტარი ხიდის ქვეშ ჩატარდა „წყვილთა რბოლა და დრიფტის შოუ“ პროფესიონალ და მოყვარულ მრბოლელთა შორის, მასში მონაწილეობა მიიღო 40–მდე სპორტსმენმა – ღონისძიების ორგანიზებისათვის გამოიყო 5000 ლარი.

16. 2022 წლის 5 ივნისი – 10 დეკემბრის პერიოდში გაიმართა სპორტული ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობდა 1500–მდე ახალგაზრდა ქუთაისის 40 საჯარო და კერძო სკოლიდან. აღნიშნულისათვის გამოიყო თანხა 18 063 ლარის ოდენობით.

17. 2022 წლის 29 – 31 ივლისს ჩატარდა ტურნირი ჩოგბურთში. სატენდერო, საპრიზო ფონდი შეადგენდა 2600 ლარს (ჩატარდა საქართველოს მაშტაბით. მონაწილეობა მიიღო 84–მა სპორტსმენმა).

18. 2022 წლის 7 – 9 ოქტომბერს ჩატარდა ტურნირი თავისუფალი ჭიდაობაში, რომლის ღირებულებამ შეადგინა 10 000 ლარი, აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობდა 60–მდე სპორტსმენი.

19. 2022 წლის 1 – 2 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, გივი სარდანაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში, სადაც მონაწილეობდა სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები, ჯამში დაახლოებით 150 სპორტსმენი. თანხა ტურნირისთვის შეადგენდა – 5000 ლარს.

20. 2022 წლის 3 – 4 დეკემბერს ჩატარდა საქალაქო ღონისძიებები შშმ სპორტსმენთა შორის მკლავჭიდსა და წოლმჭიმში. მონაწილეობდა 50–მდე შშმ სპორტსმენი.

2023 წლის სპორტის დაზუსტებული პროგრამული ბიუჯეტი შეადგენს 1 743 300 ლარს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველწლიურად სპორტსმენების საზეიმო მიღებას მასპინძლობს, რომელიც გულისხობს წარმატებული სპორტსმენებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობაში სიმბოლური საჩუქრების გადაცემას – აღნიშნულისთვის მიმდინარე წელს გამოიყო 14 690 ლარი.

2. პროგრამული ბიუჯეტის რაგბის ხელშეწყობის მუხლიდან, ქუთაისში მოქმედ 4 რაგბის კლუბს (რაგბის კლუბი „აია“, რაგბის კლუბი „არესი“, რაგბის კლუბი „ბაგრატი“, ქალთა რაგბი) გამოეყო თანხა 877 000 ლარის ოდენობით.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონის ირაკლი ცირეკიძისათვის მიმდინარე პერიოდში, სტიპენდიის სახით გადარიცხულია 13 500 ლარი.

4. საქართველოს ჩემპიონის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული (პრიზიორი) სპორტსმენების, გამარჯვებული ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელთა ფულადი ჯილდოს გაცემის ფარგლებში მიმდინარე წელს ფულადი ჯილდო გაიცა 44 სპორტსმენზე და მათ მწვრთნელზე 44 650 ლარის ოდენობით.

5. ადგილობრივი ბიუჯეტის ქვეპუნქტიდან „სპორტსმენების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა“ – საიუბილეო ღონისძიების აღნიშვნასთან დაკავშირებით ფულადი ჯილდო გადაეცა 8 დამსახურებულ სპორტსმენს. თანხა ჯამში შეადგენს 4 125 ლარს.

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში“ დასაქმებულ საქართველოს სპორტის დამსახურებული მწვრთნელის მოღვაწის/მუშაკის წოდების მქონე პირთა ყოველთვიური ფულადი ჯილდო – იანვარში გაიცემოდა 81 პირზე; ხოლო მომდევნო თვეებში 80 პირზე ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით, მიმდინარე პერიოდში სულ გადარიცხულ იქნა 72 100 ლარი.

7. სპორტის რაინდის სტიპენდიის სახით რაინდის წოდების მქონე ქუთაისელ სპორტსმენს, თეიმურაზ აფხაზავას, იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გადაერიცხა სულ 4 500 ლარი.

8. მსოფლიო, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებული შედეგების გათვალისწინებით, წლის მანძილზე გამოვლენილი 35 წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენი იღებს ყოველთვიურ ჯილდოს, ყოველთვიურად 9860 ლარის ოდენობით. ამ მიზნით, ამ ეტაპზე გადარიცხულია 88 740 ლარი.

9. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამიდან, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე გასამგზავრებლად იანვარ – სექტემბრის თვეების მანძილზე ფინანსური დახმარება გაეწია 14 სპორტსმენს, ფინანსური დახმარების ოდენობამ ჯამში შეადგინა – 31 055 ლარი.

10. ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტურნირებზე გასამგზავრებლად ფინანსური დახმარება გაეწია ოთხ გუნდსა და ერთ სპორტსმენს. ფინანსურმა დახმარებამ ჯამში შეადგინა 24 471 ლარი.

11. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ქუთაისის ოლიმპიურ კომიტეტს“ დაერიცხა 5950 ლარი.

12. ადგილობრივი ბიუჯეტის შშმ პირთა ტურნირებში მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამიდან მიმდინარე წელს გახარჯულია 16 370 ლარი. მიმდინარე წლის 16 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 60 შშმ სტატუსის მქონე პირის – ქალისა და კაცის, ასევე, სამშვიდობო

მისიებში დაჭრილი ჯარისკაცებისა და ომის ვეტერანების ჩართულობა სპორტულ – კულტურულ აქტივობებში, პროფესიონალი ინსტრუქტორებისა და პერსონალური ასისტენტების დახმარებით, უზრუნველყო ორგანიზაცია „ახალგაზრდული მედია – კავშირმა“.

13. ადგილობრივი ბიუჯეტის გაუთვალისწინებელი ღონისძიების ხარჯებიდან დაფინანსდა 6 სპორტული აქტივობა, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 104 080 ლარი.

14. 10 მარტს გაიმართა გოჩა ქვარიანის სახელობის ტურნირი ᲨᲨᲛ პირთა შორის ნარდსა და შაშში. თანხა ტურნირისთვის შეადგენს 2700 ლარს.

15. სასკოლო სპორტული ოლიმპიადა რომელშიც მონაწილეობს 1500–მდე ახალგაზრდა ქუთაისის 40 საჯარო და კერძო სკოლიდან, მიმდინარე ეტაპზე გადარიცხულია 16 605.5 ლარი.

16. 7-11 ივნისს, მსოფლიო ჩემპიონის აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა კრივში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სპორტსმენები 5 სხვადასხვა ქვეყნიდან. ტურნირის ღირებულება შეადგენს 20 000 ლარს.

17. მიმდინარე წლის 2 მაისს ჩატარდა „კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში“. ტურნირის ღირებულება არის 4500 ლარი, ხოლო 1500 ლარი შეადგენს გამარჯვებულთათვის საპრიზო ფონდს. ტურნირის ღირებულებამ ჯამში შეადგინა 6 000 ლარი.

18. 28 – 30 ივლისს სააქციო საზოგადოება „ელექტროქსელმშენის“ გენერალურმა დირექტორმა, სოსო ჭანტურიამ უზრუნველყო ჩოგბურთის ტურნირის „ქუთაისის თასი“ ჩატარების ორგანიზება – ღირებულება შეადგენს 3320 ლარს სატენდერო, ხოლო 2600 ლარი გამარჯვებულთათვის საპრიზო ფონდს (ჩატარდა საქართველოს მაშტაბით მონაწილეობა მიიღო 79 სპორტსმენმა). ტურნირის ღირებულებამ ჯამში შეადგინა 5920 ლარი.

19. მიმდინარე წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა, საქართველოს პარლამენტთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის („UNDP“) ფინანსური მხარაჭერით შეიმუშავა სპორტის განვითარების კონცეფცია. ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს სპორტის იმგვარი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც ემსახურება ინკლუზიური ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, მის კეთილდღეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. კონცეფციის სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების, ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების, აგრეთვე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თითმმართველობის მონაწილეობით გამართული სამუშაო შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით. ქალაქ ქუთაისის სპორტის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის სიღრმისეული ანალიზი, საბაზისო მონაცემები, პოლიტიკის სუსტი და ძლიერი მხარეები, რისკები და შესაძლებლობები, აგრეთვე პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2023 წელს მომზადებული კვლევის ანგარიშში „ქუთაისის სპორტის პოლიტიკის ანალიზი“.

საანგარიშო პერიოდში არაერთი ღონისძიება განხორციელდა სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების მიერ ახალგაზრდულ სფეროში.

ადგილობრივი ბიუჯეტის ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2022 წლის ივნისი-დეკემბრის მანძილზე განხორციელდა შემდეგი პროექტები და ღონისძიებები:

1. პროექტი „ახალგაზრდა მეწარმე – როგორც ქვეყნის მომავალი“ განხორციელდა 2022 წელს და გულისხმობდა თანამედროვე ხედვის მქონე მოტივირებული ახალგაზრდების მობილიზებას, ერთ სოციალურ სივრცეში განთავსებას და მათი ბიზნეს იდეების უკეთ განხორციელებისათვის ინფორმაციულ ხელშეწყობას, პროექტის ფარგლებში განხორციელდა სტარტაპერებისათვის საქმიანი უნარ – ჩვევების განვითარება, ბიზნესის ეფექტური მართვის შესწავლა და მცირე მეწარმეების დასაქმების ხელშეწყობა. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 9 987 ლარს.

2. „Airsoft Space“ დაფინანსება მოხდა 2022 წელს, პროექტის ფარგლებში ქალაქ ქუთაისში მოეწყო „Airsoft“ მოედანი, ჩატარდა თამაშის სასწავლო კურსები და მოეწყობა ჩემპიონატი აღნიშნულ სახეობაში. პროექტში სპეციალური ტანსაცმლითა და საბრძოლო ინვენტარით აღჭურვილი 50–მდე ახალგაზრდა ჩაერთო. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 7 325 ლარს.

3. 2022 წელს განხორციელდა ასევე პროექტი „მეოცნებე ნიამორები“, რომლის ფარგლებში ჩატარდა სემინარები შემოქმედებითი კუთხის მიმართულებით, სადაც ახალგაზრდები გაეცნენ შემოქმედი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მწერლებისა და მხატვრობის სხვადასხვა მიმართულებების, სტილისა თუ სამყაროს მიმართ მათი აღქმის ორიგინალობას. პროექტის ხელმძღვანელისა და სპეციალურად შერჩეული ჟიურის მიერ გადამუშავდა შემოქმედ მოსწავლეთა ნამუშევრები, გამოვლინდა გამარჯვებულები, გამოიცა ჟურნალი და გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 10 000 ლარს.

4. პროექტი „ახალგაზრდა ელჩები ქუთაისის განვითარებისთვის“ განხორციელდა 2022 წელს, რომლის ფარგლებში ქუთაისის 12–ივე ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა გაიარეს ტრენინგები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თვითმმართველობის არსი და მნიშვნელობა, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები და მექანიზმები, ადგილობრივ დონეზე საჭიროებების მოკვლევა, ადვოკატირება, პროექტების წერა და მართვა. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 10 000 ლარს.

5. 2022 წელს განხორციელდა პროექტი „ქუთაისის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო“. საბჭოს ფორმირებისას შემუშავდა შესაბამისი დებულება (წესდება), კონცეფცია და სტრუქტურა. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრებისა და კონსულტაციების გზით საბჭოს წევრებმა მიიღეს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, საქმიანობის განხორციელების პროცესში. გაიმართა საბჭოს პირველი საპილოტე სხდომა შესაბამისი პროცედურების დაცვით. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 9 998 ლარს.

6. პროექტის „langua.edu.ge“ ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის შემსწავლელ ონლაინ პლატფორმას, სადაც ატვირთულია ინგლისური ენის ვიდეო გაკვეთილები; ტექსტური დავალებები; ტესტების ნიმუშები; გაკვეთილის შესაბამისი ლექსიკონი; სხვადასხვა ხასიათის ქვიზები; სხვადასხვა შინაარსის ინგლისურენოვანი მასალა. კონტენტის შესაბამისი გრაფიკული მასალა, მოხდა ქუთაისელი სოციალურად დაუცველი 50-მდე ახალგაზრდის რეგისტრაცია და ენის შემსწავლელი კურსების გავლა. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 9 711 ლარს.

7. განხორციელდა პროექტი „ინფო ქუთაისი“, რომლის მიზანი იყო საზოგადოებაში ქუთაისის შესახებ ცნობადობის ამაღლება და ქალაქის პოპულარიზაცია. ქალაქის მივიწყებული ისტორიის გაცოცხლება. პროექტის ფარგლებში შეაქმნა ქუთაისის საიმიჯო ვიდეო-რგოლი, რომელიც ჩვენი ქალაქით დაინტერესებულ ნებისმიერ პიროვნებას გააცნობს ისტორიულ ქუთაისს. ვიდეო რგოლი არის ორენოვანი და მარტივად ხელმისაწვდომია ქალაქში მყოფი ვიზიტორებისათვის. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 7 550 ლარს.

8. პროექტი „ბოჩა – სპორტულ – საგანმანათლებლო კლუბი“ განხორციელდა 2022 წელს, რომლის მიზანს წარმოადგენდა ბოჩას სპორტულ – საგანმანათლებლო კლუბის გაძლიერებისა და მდგრადობისათვის ხელშეწყობა, რათა, ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნებისმიერ დაინტერესებულ შშმ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა დაკავდეს სპორტით, განავითაროს საკვანძო კომპეტენციები და ხელი შეუწყოს გარემოში შშმ პირთა წინაშე არსებული ბარიერების დაძლევას და მათ ინტეგრირებას სამოქალაქო ცხოვრებაში. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 9 951 ლარს.

9. 2022 წელს განხორციელდა პროექტი „ოფროად სპრინტი“, რომელიც გულისხმობს ავტომობილების შეჯიბრს უგზოობაზე, სხვადასხვა დაბრკოლებების გადალახვით დროის უმოკლეს დროში. შეჯიბრში მონაწილეობას იღებს 3

კატეგორიის ავტომობილი: (1. სტანდარტული მაღალი გამავლობის, 2. მსუბუქად მომზადებული მაღალი გამავლობის, პროფესიონალურად მომზადებული მაღალი გამავლობის ავტომობილები) თითოეულ კატეგორიაში გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცათ სიგელები, მედლები, თასები და ფულადი პრიზები. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 10 000 ლარს.

10. როკ მუსიკის ფესტივალი „Rockaია" პირველად ჩატარდა 2022 წელს ქალაქის რეაბილიტირებულ უბანში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სკვერის მიმდებარედ, პოპულარული ქართული მუსიკალური ჯგუფების მონაწილეობით („4d monster lobsters", „bedford falls", „loudspeakers", „vodka vtraiom", „დაგდაგანი") ღონისძიებას დაესწრო 5000-მდე ადამიანი. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 30 000 ლარს.

11. 2022 წლის ივლის – დეკემბრის თვეებში, ადგილობრივი ბიუჯეტის საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერის მუხლიდან ქუთაისელ ერთ ახალგაზრდას გაეწია ფინანსური დახმარება, ევროკავშირის გაცვლით პროგრამაში „BIO: Balanced – In& Out" მონაწილეობისათვის. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 1 885 ლარს.

12. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, 2022 წლის 12 აგვისტოს, ტერასა „იმერში" ჩატარდა ახალგაზრდული ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200–მდე ქუთაისელმა ახალგაზრდამ, მონაწილეებს გადაეცათ სასაჩუქრე სამაჯურები, მაისურები, ჩანთა, ბეიჯი და პორტატული დამტენები. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 10 504 ლარს.

13. 2022 წლის 16 – 31 აგვისტოს ჩატარდა „ზაფხულის ლიდერთა სკოლა" დაბა ურეკში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150–მდე 14 – 29 წლის ასაკის ქუთაისელმა ახალგაზრდამ, შერჩეული იყო მათთვის საინტერესო სატრენინგო თემატიკა, რომელიც გულისხმობდა ციფრული კომპეტენციების შესწავლას. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 48 900 ლარს.

14. 2022 წელს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდული საჭიროებების კვლევა, კვლევის ანგარიში მომზადდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით. „ქუთაისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებების კვლევის" მიზანია მუნიციპალიტეტში 14 – 29 წლის ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირება, რომლის საფუძველზე განახლდება ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 18 708 ლარს.

15. ადგილობრივი ბიუჯეტის გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ქვეპუნქტიდან ივნის – დეკემბრის თვეების ჩათვლით, განხორციელდა 5 ახალგაზრდული აქტივობა, რომელიც გულისხმობდა ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობას სხვადასხვა აქტივობაში. გახარჯულია თანხა 16 225 ლარის ოდენობით.

ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 360 000 (სამას სამოცი ათასი) ლარს. აღნიშნული პროგრამიდან განხორციელებულია შემდეგი პროექტები და ღონისძიებები:

1. მიმდინარე წლის მაის – აგვისტოში განხორციელდა პროექტი „სოციალური პლატფორმა სტარტაპერებისთვის", პროექტი გულისხმობს სტარტაპერებისათვის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასა და ერთმანეთთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფას. თანხა პროექტისთვის შეადგენს – 9 996 ლარს.

2. მიმდინარე წლის აპრილ – სექტემბერში განხორციელდა პროექტი, „საზაფხულო კინო სკოლა ქუთაისელი ახალგაზრდებისათვის", რომლის მიზანია მოსწავლე – ახალგაზრდობის დაინტერესება კინოხელოვნებით. კინო სკოლაში გაერთანებული მოსწავლე – ახალგაზრდების მიერ 25 დღის განმავლობაში გადაღებულ იქნა 10 მოკლემეტრაჟიანი ფილმი. თანხა პროექტისთვის შეადგენს 12 000 ლარს.

3. მიმდინარე წლის ივლისში განხორციელდა პროექტი „სამოქალაქო თავდაცვა და სიმულაციური სწავლება“, პროექტი გულისხმობს შემდეგს, რომ ქალაქ ქუთაისში შეიქმნეს ტრადიცია იმიტირებული საბრძოლო სპორტის, როგორიცაა ფეინთბოლი და ეარსოფტი, ასევე მოხდეს ჩემპიონატის ყოველწლიური ორგანიზება, რათა, მოხდეს სპორტის ამ სახეობების პოპულარიზაცია, რომლებიც ახალგაზრდებს მისცემს გართობის, განტვირთვისა და სპორტული აქტივობებით დაკავების მეტ შესაძლებლობას. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს – 13 864 ლარს.

4. პროექტი „ახალგაზრდები მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის“ განხორციელდა მიმდინარე წელს აპრილ – აგვისტოში. პროექტის მიზანი იყო ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობა; ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება კონფლიქტზე და მათი არაძალადობრივი გზით მოგვარების ტექნიკებსა და საშუალებებზე; ახალგაზრდების მოტივირება ღიად ისაუბრონ კონფლიქტურ სიტუაციებზე და კვალიფიციური ფსიქოლოგისგან მიიღონ პასუხები მათთვის მნიშვნელოვან თემებზე. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 9 590 ლარს.

5. მიმდინარე წლის მაის – სექტემბერში განცორციელდა პროექტი „ციფრული კომპეტენციების განვითარება ახალგაზრდებში“. პროექტის მიზანია ქალაქ ქუთაისში მცხოვრები 14 – 29 წლამდე ახალგაზრდების ტექნოლოგიური და არაფორმალური განათლების ძირითადი კომპეტენციების გაძლიერების ხელშეწყობა, ახალგაზრდებს შესძინოს ბიზნესისა და ორგანიზაციებისთვის ეფექტური ციფრული მარკეტინგის სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელებისა და ასევე, პაითონის პროგრამირების გამოყენების უნარი. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს – 13 755 ლარს.

6. მიმდინარე წლის 20 სექტემბერს განცორციელდა პროექტი „გასტრონომიული ფესტივალი და ადგილობრივი მუსიკოსების საღამო“. ფესტივალის მიზანია გასტრონომიული ტურიზმის განვითარება, ჯანსაღი სოციალურ – კულტურული გარემოს შექმნა, ფესტივალის ფარგლებში სტუმრებს ქონდათ შესაძლებლობა ერთ სივრცეში დაეგემოვნებინათ კერძები თუ სასმელი, მოესმინათ სასიამოვნო მუსიკისათვის და დაეთვალიერებინათ ადგილობრივი მეწარმეების გამოფენა. ასევე, პროექტის მიზანია მოხდეს ადგილობრივი კომპანიების პოპულარიზაცია, რომლებიც მოღვაწეობენ კვების ინდუსტრიაში ან/და აწარმოებენ ქართულ ღვინოს. პროექტისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 14 050 ლარს.

7. პროექტი „გააუმჯობესე შენი მომავალი“ განხოციელდა მაის – აგვისტოში. პროექტის ფარგლებში, ქუთაისში მცხოვრებ 18 – 29 წლის ასაკის 20 სტუდენტს, სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, სტატუსის, შესაძლებლობებისა და გამოცდილების მქონეს ჰქონდა შესაძლებლობა განევითარებინა სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციები. პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 9 972 ლარს.

8. მიმდინარე წლის მაისიდან ხორციელდება პროექტი „ახალგაზრდების ინფორმირებულობა ჩართულობის გზით“, პროექტის ფარგლებში მოხდა „საშემოდგომო სკოლის“ მსმენელების შერჩევა, ლექციების დაწყება, სამაგიდე თამაშის ბეჭდვა და შეთავაზება/თამაში სკოლის მოსწავლეებისათვის; საინფორმაციო შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან. პროექტის ფარგლებში ასევე, დაგეგმილია „საშემოდგომო სკოლის“ მსმენელების ვიზიტი საინფორმაციო ცენტრის ოფისში და შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის და ნატოს დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან. მიმდინარე პერიოდში პროექტისთვის გადარიცხულია 7 640 ლარი.

9. პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პერსონალური ასისტენტების მომზადება და სერვისის პილოტირება ქუთაისის მუნიციპალიტეტში“ მიმდინარეობს აპრილის თვიდან, პროექტი მიზნად ისახავს ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში პერსონალური ასისტენტის სერვისის პოპულარიზაციას, დაინტერესებული ახალგაზრდების პერსონალური ასისტენტის სერვისის მიმწოდებლებად გადამზადებას და

მათთვის პრაქტიკული გამოცდილების მიცემას პროფესიონალი მენტორების მხარდაჭერით. ამ ეტაპზე გადარიცხულია 7 450 ლარი.

10. პროექტი „ზამთრის ლიდერთა სკოლა“ განხორციელდა მიმდინარე წლის თებერვალ – მარტი თვის პერიოდში, 10 დღის მანძილზე, 2 ნაკადად დაბა ბაკურიანში, 14-29 წლამდე 80–მდე ქუთაისელი ახალგაზრდისათვის. სკოლის ორგანიზება განახორციელა შპს „პრიმა ჯგუფი 2010“-მა. პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 27 320 ლარს.

11. როკ მუსიკის ფესტივალი „Rockაია“ – ქალაქ ქუთაისში მუხნარის ტყე-პარკში ჩატარდა როკ მუსიკის ფესტივალი პოპულარული ქართული მუსიკალური ჯგუფების მონაწილეობით. ღონისძიებას დაესწრო 10 000–მდე ადამიანი, ფესტივალისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 30 000 ლარს.

12. მიმდინარე წლის აგვისტო – სექტემბრის პერიოდში განხორციელდა „ზაფხულის ლიდერთა სკოლა“, რომელიც 10 დღის მანძილზე მიმდინარეობდა 2 ნაკადად, დაბა ბაკურიანში. სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები ჩატარდა 14-29 წლამდე, 80-მდე ქუთაისელი ახალგაზრდისათვის, სკოლის ორგანიზება განახორციელა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯ.ბ. კაპიტალმა“, თანხა გამოიყო 29 100 ლარის ოდენობით.

13. ადგილობრივი ბიუჯეტის გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ქვეპუნქტიდან მიმდინარე წლის იანვარ – სექტემბრის თვეების ჩათვლით, ქუთაისელი ახალგაზრდებისათვის დაფინანსდა 6 აქტივობა. ჯამში ფინანსური დახმარება გაეწია 40–მდე ახალგაზრდას, მათ დაუფინანსდათ მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში. პროგრამიდან გახარჯული თანხის ოდენობა შეადგენს 13 355 ლარს.

14. ახალგაზრდული ფესტივალი ჩატარდა მიმდინარე წლის 20 სექტემბერს, რომელიც გულისხმობდა ყველა იმ კომპონენტის ჩართულობას, რაც ახალგაზრდებს გაუზრდის ინფორმირებულობას განივითაროს დასაქმების, შემეცნების, გართობის შესაძლებლობები ლოკალურ დონეზე და არა მარტო. ფესტივალის ფარგლებში გარდა სხვადასხვა ღონისძიებისა, ჩატარდა კონცერტი მუსიკალური ბენდების მონაწილეობით, მაყურებელთა რიცხვმა დაახლოებით შეადგინა 10 000 – ფესტივალში ჩართული იყო 120 ქუთაისელი მოხალისე. ფესტივალისთვის გამოყოფილა თანხა შეადგენს 20 000 ლარს.

15. ადგილობრივი ბიუჯეტის საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერის მუხლიდან მიმდინარე წელს ისარგებლა ერთმა სტუდენტმა, გადარიცხული თანხა შეადგენს 420 ლარს.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24-ე სხდომაზე, 2023 წლის 25 ოქტომბერს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის განყოფილების ხელმძღვანელის, ელეონორა გოგოლაშვილის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე შენგელია